პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 14 სექტემბერი, 1943 წ. № 193 (6818). ფასი 20 კაპ.

საუკეთესოდ მოვაწყოთ აღრიცხვა, გავუფრთხილდეთ საკოლმეურნეო დოვლათს

დიდი სამამულო ომის დღეებში კოლმეურნეობათა წინაშე სერიოზული ამოცანებია დასახული. სამშობლო და ფრონტი მოითხოვენ სულ უფრო და უფრო მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა და ნედლეულს მრეწველობისათვის. კოლმეურნეები დაუღალავად მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებზე და თვალსაჩინოდ ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას, აღწევენ ახალ-ახალ საწარმოო გამარჯვებებს, უფრთხილდებიან საკოლმეურნეო ქონებას. წელს საქართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უხვ სამხედრო მოსავალს იღებენ. კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აღრიცხვის, ანგარიშწარმოების სწორად დაყენებას, საზოგადოებრივი საკოლმეურნეო და სახელმწიფო საკუთრების შემდგომ დაცვას.

საწარმოო დავალებათა შესრულებაში ფრიად მნიშვნელოვანია აღრიცხვის როლი. დიდი **სტალინი** გვასწავლის, რომ „კოლმეურნეობა არის მსხვილი მეურნეობა. მაგრამ მსხვილი მეურნეობის გაძღოლა უგეგმოდ არ შეიძლება". გეგმიან დავალებათა შესრულებისათვის საჭიროა აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების სანიმუშოდ დაყენება ყველა კოლმეურნეობაში. პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სამეწარმეო ორგანოები უდიდეს ყურადღებას აქცევენ კოლმეურნეობებში აღრიცხვის სწორად მოწყობას. მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფ. მელექედურის ბერიას სახელობის, სოფ. შემოქმედის მახარაძის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში ანგარიშწარმოება კარგად არის დაყენებული. სოფ. შემოქმედის კოლმეურნეობაში 26 ივლისამდე გამომუშავებული შრომადღეები 29 ივლისისათვის ჩაწერილი იყო როგორც კოლმეურნეთა შრომის წიგნაკებში, ისე კოლმეურნეთა შრომადღეების აღრიცხვის წიგნსა და კოლმეურნეებთან ანგარიშსწორების წიგნში. წალკის რაიონის სოფ. კუშის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული მეცხოველეობის პროდუქციის აღრიცხვა.

იმისათვის, რომ არ იქნას დაშვებული საკოლმეურნეო პროდუქციის დაკარგვა ან განიავება, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მთელი ქონების ზუსტი აღრიცხვის მოწყობა. აღრიცხვის კარგად დაყენება ნიშნავს იმას, რომ ამა თუ იმ ბოროტგანმზრახველს საკოლმეურნეო პროდუქციის განიავების საშუალება არ მიეცეს.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ რაიონში და სოფელში სათანადო ყურადღება არ ექცევა კოლმეურნეობებში აღრიცხვის მოწესრიგებას. სუსტი აღრიცხვისა და კონტროლის შედეგად არის ცალკეული შემთხვევები საკოლმეურნეო პროდუქციის განიავებისა და ნიბაურულად გაცემისა. საკოლმეურნეო პროდუქციის განიავების ფაქტების ადგილი ჰქონდა ბოგდანოვკის, საჩხერის, ჭიათურის რაიონებში. გორის რაიონის ქიწნისის კოლმეურნეობაში არადანიშნულებისამებრ გამოიყენეს კოლმეურნეობის სადაზღვევო ფონდიდან 232 კილოგრამი პური, 153 კილოგრამი სიმინდი, რაც ეწინააღმდეგება არტელის სტალინურ წესდებას.

უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობებში ყოველგვარი ნატურალური და ფულადი შემოსავლის სწორად აღრიცხვას. სამიწათმოქმედო ორგანოები, კოლმეურნეობათა გამგეობები, სარევიზიო კომისიები და მათი თავმჯდომარეები ვალდებული არიან გააძლიერონ მზრუნველობა საკოლმეურნეო ქონებისათვის. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა არ უნდა დაუშვან პროდუქტების შინაურულად, უკანონოდ გაცემა. კოლმეურნეობის მთელი პროდუქცია, რომელიც მას რჩება სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებისა და ყველა ფონდების გამოყოფის შემდეგ, შეიძლება განაწილდეს და დაიხარჯოს მხოლოდ და მხოლოდ კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილებით, და ისე, როგორც ამას ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება. ანგარიშწარმოებისა და საკოლმეურნეო ქონების დაცვისათვის სრული პასუხისმგებელნი კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების თანაბრად არიან სარევიზიო კომისიები. სარევიზიო კომისიები ვალდებული არიან წელიწადში ოთხჯერ მაინც მოახდინონ კოლმეურნეობის ფინანსიურ - სამეურნეო დოკუმენტალური რევიზია, და მტკიცე კონტროლი დააწესონ პროდუქტების ხარჯვაზე. საჭიროა ამ საქმეში ფართოდ ჩავაბათ კოლმეურნეთა ფართო მასები.

რა თქმა უნდა, კოლმეურნეობის გამგეობა პირველ რიგში უნდა ზრუნავდეს აღრიცხვისა და საკოლმეურნეო პროდუქციის დაცვისათვის. მაგრამ ამასთან ერთად სერიოზული პასუხისმგებლობა აკისრიათ კოლმეურნეობათა საანგარიშო დარგის მუშაკებს. კოლმეურნეობის მოანგარიშე პასუხს აგებს შედგენილი დოკუმენტების სწორად გაფორმებისათვის, აგრეთვე იმ ოპერაციებისათვის, რომლებიც გამოსახულებას პოულობენ ამ დოკუმენტებში. კოლმეურნეობათა მოანგარიშეებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების სრულ წესრიგში მოსაყვანად. დიდი სამამულო ომის დღეებში მოანგარიშეებად ზოგან ახალი კადრები მუშაობენ. ეს ავალებს სამეწარმეო ორგანოების მუშაკებს ყოველგვარი დახმარება და ხელძღვანელობა გაუწიონ მათ საანგარიშო დარგის ისე დასაყენებლად, როგორც ამას არტელის სტალინური წესდება მოითხოვს.

საკოლმეურნეო ქონების დაცვისათვის საჭიროა სრულ წესრიგში მოვიყვანოთ კოლმეურნეობათა სასაწყობო მეურნეობა. საწყობის გამგეებად, ისე როგორც მოანგარიშეებად უნდა შევარჩიოთ შემოწმებული, პატიოსანი მუშაკები.

პარტიული რაიონულმა კომიტეტებმა, რაისაბჭოების აღმასკომებმა, რაიმეწარმეებმა და კოლმეურნეობათა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში ანგარიშწარმოების შემდგომ გასაუმჯობესებლად და საკოლმეურნეო დოვლათის განიავების აღსაკვეთად. სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ უხვი სამხედრო მოსავალი, სწრაფად გავანაწილოთ კოლმეურნეობებში მოსავალი და შემოსავალი, პირნათლად შევასრულოთ სახელმწიფო ვალდებულებანი, თვალსაჩინოვით გავუფრთხილდეთ საკოლმეურნეო საკუთრებას, ურყევად დავიცვათ კოლმეურნეობის სტალინური წესდება,—აი რას უნდა მიექცეს ახლა სერიოზული ყურადღება.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის ზოგიერთი სოფლისა და სასოფლო საბჭოს გადარქმევის შესახებ

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის შემდეგი სოფლებისა და სასოფლო საბჭოების გადარქმევის შესახებ:

1. სოფელ ანასტასიევკას ეწოდოს სოფელი განახლება და ანასტასიევკის სასოფლო საბჭოს—განახლების სასოფლო საბჭო;
2. სოფელ ვლადიმიროვკას ეწოდოს სოფელი კოდორი და ვლადიმიროვკის სასოფლო საბჭოს—კოდორის სასოფლო საბჭო;
3. სოფელ ოლგინსკოეს ეწოდოს სოფელი ოქტომბერი და ოლგინსკოეს სასოფლო საბჭოს—ოქტომბრის სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1943 წ. 11 სექტემბერი. ქ. თბილისი

პრილუკის მიმართულებით

მოქმედი არმია, 13 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ქალაქი სუში შორს დაგვრჩა უკან. ჩვენმა ჯარებმა რამდენიმე დღის განმავლობაში დასავლეთისაკენ სწრაფი ტემპით გაიარეს ბრძოლებით მრავალი ათეული კილომეტრი. ყველაფერი მუდმივ მოძრაობაშია—მოწინავე ნაწილებიც, შტაბებიც, ზურგიც. აქ ჯერ კიდევ გუშინ ბრძოლა იყო გერმანელებთან, დღეს კი წინწასული ნაწილების ზურგი განლაგებულა. გერმანელები ზედიზედ ჰკარგავენ ხიდფეებს.

ცხარე ბრძოლა გაჩაღდა ერთ-ერთ გზაზე წყლის ხიდულთან. დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლა რომ წააგეს, გერმანელებმა გადაწყვიტეს სრული განადგურებისაგან გადარჩინათ თავიანთი ცოცხალი ძალა და ტექნიკა. გზაზე ზურგში მოძრაობდა ქვეითი ჯარი, არტილერია, ავტომანქანები, აღალები. ამ მომენტში გერმანელებს მოულოდნელად დაესხა თავს ჩვენი მოძრავი მექანიზებული ჯგუფი. იგი ფეხდაფეხ მისდევდა უკანდახეულ მტერს და მარჯვე შემთხვევას ელოდა დარტყმისათვის. მოწინააღმდეგის კოლონა გადათელილ და განადგურებულ იქნა ბრძოლაში, რომელიც სწრაფად მიმდინარეობდა. მტერმა გზაზე დაჰყარა იარაღი, ავტომობილები, საბიდრები. გადარჩენილი გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები მახლობელ ტყეებში გაიქცნენ, მაგრამ ისინი ჩვენმა მებრძოლებმა შეიპყრეს.

გუშინდელი დღის განმავლობაში შემტევმა ჯარებმა ცალკეულ უბნებზე 10-დან 12-მდე კილომეტრით წაიწიეს და 140-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

ამჟამად ბრძოლები სწარმოებს პოლტავის ოლქის ტერიტორიაზე. გერმანელებს დიდი ზარალი მოსდით ადამიანთა და ტექნიკის მხრივ.

ნ. მარკოვსკი

საქ. აღკკ ცენტრალურ კომიტეტში

გარდამავალი წითელი დროშა და საპატიო სიგელები სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებისათვის

საქ. აღკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი გარდამავალი წითელი დროშისა და საპატიო სიგელების დაწესების შესახებ იმ კომკავშირული ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწევენ 1943 წლის სასოფლო-სამეურნეო საბრძოლოებში.

გარდამავალი წითელი დროშა დაწესებულია კომკავშირის იმ სოლქო და რაიონული კომიტეტებისათვის, რომლებიც მაღალ მაჩვენებლებს მიაღწევენ სასოფლო-სამეურნეო საბრძოლოებში, უზრუნველყოფენ ამ სამუშაოებში მეი სოფლის ახალგაზრდობისა და მოსწავლეების ჩაბმას. საპატიო სიგელები (ულუდ დაწესებულია 30 სიგელი) მიეცემათ იმ ტოწინავე პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს, კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადებს, ოგოლებსა და ცალკეულ კომკავშირელებს, რომლებიც თავს გამოიჩენენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში და წარმატებით ზეასრულებენ სოციშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

საქ. აღკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა საოლქო, რაიონული კომიტეტებისა და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მიდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე კიდევ უფრო ფართოდ გაიჩაღონ სოფლის ახალგაზრდობის სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით დამთავრებისათვის. შეჯიბრებაში ჩაბმულ კომკავშირისა და სოფლის ახალგაზრდობის მთელი მასა, დაეხმარონ მათ, სისტემატურად შეამოწმონ შეჯიბრების მიმდინარეობა, მიაღწიონ აღებულ ვალდებულებათა განაღდებას და ამით მოიპოვონ გარდამავალი წითელი დროშისა და საპატიო სიგელების მიღების უფლება.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

12 სექტემბრის ოპერატიული ცნობა

12 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ქალაქ სტალინოს (დონბასი) დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით განაგრძობდნენ შეტევას, წინ წაიწიეს 10-დან 30 კილომეტრამდე და დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის სტალინოს ოლქის რაიონული ცენტრი სტარი კერმენჩიკი და დიდი დასახლებული პუნქტები ალექსეევკა, ბოგატირი, ნოვო-უკრაინკა, პავლოვკა, ევგენოვკა, ნოვო-პეტრიკოვკა, ნოვო-კარაკუშა, მალაია იანისალი.

პრილუკის მიმართულებით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, წინ წაიწიეს ცალკეულ უბნებზე 8-დან 20 კილომეტრამდე და დაიკავეს 70-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი ბადიაჩი და დიდი დასახლებული პუნქტები

-ჩენკოვკა, ანდრეევკა, ბერასიმოვკა, სტარი, პოგარშჩინა, როზგიშევკა, ტრასნო-ზნამენკა, სერედნიაკი, პეტრიკა, მალაია გუდიშჩა.

ნეჟინის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას, წინ წაიწიეს 10-დან 12 კილომეტრამდე და დაიკავეს 20-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბერესტოვეცი, პროხორი, სივოლოჟი, ხოროშევო ოზერო, ივანგოროდი, ხვასტოვცი, გრიგოროვკა, კურენი.

როსლავლის მიმართულებით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, წინ წაიწიეს 6-დან 8 კილომეტრამდე და დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ბერიოზოვკა, სადულინა, ლოგაჩევო, ვედერნიკი, ვეტიტნოე, პოკროვსკოე, ზაგოლოვკა, კოშანი, ლაზინკი.

ბრიანსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას აწარმოებდნენ, წინ წაიწიეს ცალკეულ უბნებზე 4-დან 6 კილომეტრამდე და დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები—ოლშანიცა, კუპკოვო, ბერეზინა, პასტუშიე, მალოე პოლპინო და რკინიგზის სადგურები ვერეშჩაევკა, სტეკლიანაია რადიცა, ბელიე ბერეგა (20 კილომეტრზე ბრიანსკის აღმოსავლეთით).

ხარკოვის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, წინ წაიწიეს 3-4 კილომეტრით და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ლევანდალოვკა, კოსტევი, ლიტვინოვკა.

ფრონტის დანარჩენ უბნებზე ჩვენი ჯარები ეწეოდნენ საბრძოლო დაზვერვას და საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლას მოწინააღმდეგეთთან.

11 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 64 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 28 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ სტალინოს დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები აწვეთარებდნენ შეტევას და დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. მოწინააღმდეგე, ეყრდნობოდა რა წინასწარ მომზადებულ თავდაცვითს ზღუდეებს, ცდილობდა შეეჩერებინა საბჭოთა ნაწილების წინსვლა. ჩვენმა მებრძოლებმა მძაფრი დარტყმით გაარღვიეს მთელ რიგ ადგილას მოწინააღმდეგის თავდაცვა და განაგრძობენ წინსვლას დასავლეთისაკენ. 6 ნაწილმა მოიგერია მტრის რამდენიმე კონტრიერიში და მოსპო გერმანელთა 30 ტანკი, მათ შორის 10 ტანკი „ვეფხვის" ტიპისა. სხვა უბანზე 5 შენაერთის ნაწილებმა ბრძოლებით წაიწიეს წინ და მოსპეს 1.500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 14 ტანკი, 45 ქვემეხი, 86 ტყვიამფრქვევი და 90 ავტომანქანა და ხელში ჩაიგდეს დავლა, მათ შორის 9 ტანკი, 24 ქვემეხი, 142 ტყვიამფრქვევი, 13 ორთქლმავალი, 600 ვაგონი და 4 საწყობი სხვადასხვა სამხედრო მასალიანად. წამოყვანილია 250 ტყვე.

6 საკავალერიო შენაერთი დაედევნა მოწინააღმდეგს და დაიკავა რაიონული ცენტრი სტარი კერმენჩიკი, ხელთ იგდო 80 ავტომანქანა, 11 ქვემეხი, საომარი მასალების საწყობი და სურსათის საწყობი.

ჩვენმა მოტოქვეითმა ჯარმა და კავალერისტებმა გაათავისუფლეს 4.000 საბჭოთა მოქალაქე, რომლებსაც გერმანელები მიერეკებოდნენ კატორღულ სამუშაოზე გერმანიაში.

* * *

პრილუკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებას შეტევას. 6 შენაერთის მებრძოლებმა გადალახეს მდინარე სსიოლი და გაიფორებული ბრძოლების შედეგ დაიკავეს ქალაქი გადიაჩი. სხვა შენაერთის ნაწილებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. ამ ბრძოლებში მოსპობილია 1.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ დავლა, მათ შორის გერმანელთა 11 ტანკი.

* * *

ნეჟინის მიმართულებით 5 შენაერთის ნაწილები სძლევდნენ მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას, იგერიებდნენ მის კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს 20-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. ერთი დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლაში გაელეტილია 400 ჰიტლერელი, ხელთ ვიგდეთ 6 ქვემეხი, 27 ტყვიამფრქვევი და 2 საწყობი საომარი მასალა. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის კონტრიერიში და მოსპეს 8 ტანკი და 200 ჰიტლერელი.

* * *

ბრიანსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. 5 შენაერთის მებრძოლნი სძლევდნენ მოწინააღმდეგის ხე-ტყის ჩანახერგსა და ნაღმიან არეებს და ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. გერმანელები შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევენ, მაგრამ ჩვენი ნაწილების დარტყმების შედეგად იძულებული არიან ზედიზედ დასტოვონ პოზიციები. ბრიანსკის აღმოსავლეთით საბჭოთა მებრძოლებმა დაიკავეს რკინიგზის სადგური ბელიე ბერეგა. მოწინააღმდეგის კონტრიერიშები მოგერიებულ იქნა მისთვის დიდი ზარალის მიყენებით. მოსპობილია მტრის 600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 12 ქვემეხი და 30 ავტომანქანა. მოწინააღმდეგეს წაართვით 9 ქვემეხი, 7 ნაღმსატყორცნი, 36 ტყვიამფრქვევი და 3 ორთქლმავალი. წამოყვანილია 190 ტყვე.

* * *

ხარკოვის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. 5 შენაერთის ნაწილებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის ძლიერ გამაგრებული კვანძი. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 3 ტანკი, 12 ქვემეხი, 39 ტყვიამფრქვევი და საომარი მასალების ერთი საწყობი.

* * *

ჩაპაევის სახელობის, პარხომენკოს სახელობის და სუვოროვის სახელობის პარტიზანულმა რაზმებმა, რომლებიც ჩერნიგოვის ოლქში მოქმედებენ, შეიდი დღის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 14 სამხედრო ეშელონი. დაიმტვრა 12 ორთქლმავალი და 100-ზე მეტი ვაგონი და პლატფორმა. ზაპოროჟიის ოლქში მოქმედი რაზმის პარტიზანებმა ააფეთქეს რკინიგზის ხიდი. მატარებელთა მოძრაობა რკინიგზის ამ უბანზე შეწყვეტილია დიდი ხნით.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა გერმანიის 113-ე ქვეითი დივიზიის ჯარისკაცთა ჯგუფი. ჩვენს მხარეზე გადმოსულმა რუდოლფ ლ-მ განაცხადა: „113-ე დივიზია ზამთარში მოსპობილ იქნა სტალინგრადთან. გაზაფხულზე საფრანგეთში შეადგინეს ახალი დივიზია, რომელსაც იგივე ნომერი მიაკუთვნეს. 19 ივლისს დივიზია გამომემზადა ომი საფრანგეთიდან. ჩვენი პოლკი სადგურ იარცევოში მოვიდა და მალე ჩაბმულ იქნა ბრძოლაში. პირველსავე ბრძოლებში ჩვენ მძიმე ზარალი მოგვივიდა. ჯარისკაცები ამბობენ: „ჩვენ მემკვიდრეობად მივიღეთ ბედუკუღმართი დივიზიის არა მარტო ნომერი, არამედ გავიზიარეთ მისი ბედიც". იმავე პოლკის ჯარისკაცმა, ჩვენს მხარეზე გადმოსულმა ოტო რ-მ განაცხადა: „ოფიცრები ამბობდნენ: ჩვენი დივიზია, რომელიც ბრძოლაში გამოიცდება ახალგაზრდა ჯარისკაცებით იყო დაკომპლექტებული, ფრონტის მყუდრო უბანზე იქნებაო. მათ ჩვენ მოგვატყუეს. ერთი დღის განმავლობაში რუსების საარტილერიო ცეცხლისაგან ჩვენმა ასეულმა 60 კაცი დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. სამი დღის ბრძოლების განმავლობაში ასეულმა ფაქტიურად შესწყვიტა არსებობა".

13 სექტემბრის ოპერატიული ცნობა

13 სექტემბრის განმავლობაში ქალაქ სტალინოს (დონბასი) დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. წინ წაიწიეს 6-დან 15-მდე კილომეტრით და დაიკავეს 90-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. მათ შორის სტალინოს ოლქის რაიონული ცენტრი ბოლშაია იანისოლი და დიდი დასახლებული პუნქტები—კოშარი, ბრეზინეევკა, ნოვოდაროვკა, სანდუაროვსკი, ვორონეშილოვკა და ზასიტინეევკა.

ნეჟინის მიმართულებით ჩვენი ჯარები მტრის წინააღმდეგობას სძლევდნენ, წარმატებებს შეტევას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 10-დან 17-მდე კილომეტრით და დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ჩერნიგოვის ოლქის რაიონული ცენტრი კომაროვკა, დიდი დასახლებული პუნქტები—ბოლშოვნა, სტეპანოვკა, ბრიტანი, ევლაშოვკა, ბურკოვკა, პეჩი, მალი სამბური, ველიკი სამბური, ტინიცა, ბოლენკი, ბაივორონი, დეკატოვკა, კოშარი, გალკა და რკინიგზის სადგურები კრუტი და ვარვაროვსკი.

პრილუკის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევის განვითარებას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 10-დან 12-მდე კილომეტრით და დაიკავეს 140-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები—სმელევი, კოროვინიცი, ბერასიმოვკა, ბოგრინი, რუჩკი, კრუტკი, ხარკოვსკი და რკინიგზის სადგურები ანდრეიაშევკა და იუსკოვცი.

როსლავლის მიმართულებით ჩვენი ჯარები მტრის წინააღმდეგობას სძლევდნენ, წინ წაიწიეს 4-დან 6-მდე კილომეტრით და 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

ბრიანსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 10-დან 15-მდე კილომეტრით და დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები—ივოტი, ცემენტნი, კრილოვკა, სამარარადიცა, ბოლშოე პოლპინო, აგრეთვე რკინიგზის სადგურები ბელოზერეჟსკაია, სნეჟეტსკაია, სვენი და რკინიგზის კვანძები ბრიანსკი-1 და ბრიანსკი-2 (მდინარე დესნის აღმოსავლეთ ნაპირზე). ამგვარად, ჩვენი ჯარები ზედ მიადგნენ ქალაქ ბრიანსკს.

12 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 14 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 18 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ სტალინოს დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. 6 შენაერთის მებრძოლებმა მტრის ძლიერი ცეცხლითი წინააღმდეგობა და მისი ნაღმიანი ღობურები გადალახეს და ათობით დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოსპობილია 1.500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია 4 ტანკი, 7 ჯავშნიანი ტრანსპორტერი, 13 ქვემეხი, 96 ტყვიამფრქვევი და ბევრი ავტომანქანა საომარ მასალიანად. სხვა უბანზე საბჭოთა მოტორიზებული და საკავალერიო ნაწილები მოწინააღმდეგის განადგურებული ნაწილების დევნას განაგრძობდნენ. განვლილი დღის მანძილზე ჩვენმა კავალერისტებმა და მოტოქვეითმა ჯარმა ჰიტლერელთა ათობით განცალკევებული ჯგუფი გაელიტეს. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ხარკოვის სამხრეთ-დასავლეთით 5 შენაერთის ნაწილებმა მტრის წინააღმდეგობა სძლიეს, წინ წაიწიეს და 2 დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ამ პუნქტებისათვის ბრძოლაში მოსპობილია 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 3 ქვემეხი, 20 ტყვიამფრქვევი და 2 საწყობი საომარი მასალა.

* * *

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის ავიაციამ ჩასძირა გერმანელთა ტრანსპორტი 6.000 ტონა წყალწყვისა. ჩაძირულია ავრეთვე მოწინააღმდეგის საგუშაგო ხომალდი.

ჩვენმა მფრინავებმა აზოვის ზღვაში ჩასძირეს მოწინააღმდეგის 2 სატორპედო კატერი და 2 სადესანტო კარავანი.

* * *

ბელორუსიის პარტიზანულმა რაზმებმა უკანასკნელი 5 დღის განმავლობაში მთელი რიგი სერიოზული ზიანი მიაყენეს მოწინააღმდეგის გზებს. პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 75 სარკინიგზო ეშელონი. ეშელონების მეტი ნაწილი ორმაგი წევით მიდიოდა ფრონტის ხაზისაკენ. მარცხის შედეგად დამტვრეული ან დაზიანებული 100-მდე ორთქლმავალი და 1.000-ზე მეტი ვაგონი და ბაქანი. ამავე ხნის განმავლობაში საბჭოთა პატრიოტებმა 160 ავტომანქანა მოსპეს, 4 დიდი საწყობი დაწვეს და 1 რკინიგზისა და 38 გზატკეცილის ხიდი ააფეთქეს.

* * *

გერმანიის მე-15 ქვეით დივიზიის 81-ე პოლკის მე-2 ბატალიონის მოკლულ ჯარისკაც ალფრედ ზაიდელის ჩანთაში აღმოჩნდა ფაირის ოლქის მცხოვრებ მისი დედის წერილი. წერილში, რომელიც 21 აგვისტოთია დათარიღებული, იწერს: „ტოტალურმა მობილიზაციამ ეკანასკნელი ხეიბრები ნიგვზივით... ნუთუ ამ ადამიანებს, რომელთაც არაფრის უნარი არ შესწევთ, შეუძლიათ ფრონტი დაიცვან? მანდ თქვენთან კიდევ დიდი ბრძოლებია. ნეტავ საიდან აქვთ რუსებს ამდენი ტანკი და თვითმფრინავი? თუ ჩვენს საინფორმაციო ცნობებს დავუჯერებთ, რუსებს უკვე არც ერთი ტანკი და არც ერთი თვითმფრინავი აღარ უნდა ჰქონდეთ".

ჩვენი ჯარების შეტევა გრძელდება

მოქმედი არმია, 12 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორ.). უკან დარჩა განთავისუფლებული დონბასი. ჩვენი ჯარები დნეპროპეტროვშჩინისა და ხარკოვშჩინის სამხრეთი ნაწილის ვრცელ ველებში გავიდნენ. მტერი ცდილობს შეაჩეროს საბჭოთა ჯარების წინსვლა და ცალკეულ უბნებზე კონტრიერიშები მოაქვს.

შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა მოძრავმა ჯგუფმა სწრაფად დაიკავა ერთი დასახლებული პუნქტი. გერმანელები განსაკუთრებით ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ეს სოფელი, რათა აქედან დაეფარათ თავიანთი უკანდახეული ნაწილები. მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი ტანკების საფარქვეშ კონტრიერიშზე გადმოვიდა და ცდილობდა ჩვენი ჯგუფი მოეწყვიტა მის უკან მიმავალი ქვეითი ჯარისაგან. თავდაპირველად მოწინააღმდეგემ ძალ-ღონის უდიდესი დაჭიმვის ფასად მოახერხა სოლივით შემოჭრილიყო სოფლის ჩრდილოეთ გარეუბანში, მაგრამ საბჭოთა ქვეითებმა გადამწყვეტი დარტყმით განდევნეს გერმანელები სოფლიდან და შიგ გამაგრდნენ.

ერთ-ერთ უბანზე გერმანელებმა მძლავრი თავდაცვითი ზღუდე შეჭმნეს და შეუპოვარი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. გვარდიის 5 შენაერთის ნაწილებმა გაარღვიეს მტრის თავდაცვა და დღის განმავლობაში ბრძოლებით წაიწიეს 8 კილომეტრზე. გერმანელებმა აქ ერთ დღეში 500-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი და ბევრი ტექნიკა დაჰკარგეს.

ერთ-ერთი ჩვენი ქვეგანაყოფის წინააღმდეგ გერმანელებმა კონტრიერიშზე გადმოიყვანეს 6 ტანკი. უფროს სერჟანტ ზაგრებინის გუნდმა ქვემეხი ღია პოზიციაზე გამოაგორა და ერთბაშადვე მწყობრიდან გამოიყვანა გერმანელთა სამი მანქანა. მაგრამ მტრის დანარჩენმა ტანკებმა არტილერიისტთა საცეცხლე პოზიციას შემოუტიეს. მებრძოლები სანგრებში ჩასხდნენ და გრანატები იხმარეს. ჯავშნმტვრეველმა სერჟანტმა პრიმაკოვმა პირველი გასროლითვე დაიზიანა გერმანელთა ტანკი. მტრის დანარჩენ ტანკები ბრძოლის ველიდან წავიდნენ.

ერთ-ერთ ბრძოლაში უფროს ლეიტენანტ კლოჩკოვის, ლეიტენანტ კორნილოვისა და ლეიტენანტ მაქსაევის ქვეგანაყოფებმა ერთი დღის განმავლობაში მტრის შვიდი კონტრიერიში მოიგერიეს. როდესაც მტერმა შესვენება განიზრახა, ჩვენი ქვეგანაყოფები შეტევაზე გადავიდნენ. ხანმოკლე შეტაკების შედეგ გერმანელები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ მაღლობი და დასახლებული პუნქტი, ამასთან მათ 200-მდე კაცი დაჰკარგეს მოკლულთა სახით.

ი. ლაპონოგოვი

უკანასკნელი ცნობები

ინვალიასთან დაღებული დროებითი ზავის პირობები

ლონდონი, 12 სექტემბერი (საკდესი). რეიტერ

გამოვასწოროთ ჩამორჩენა ციფრუსოვანთა სამუშაოებში

ქობულეთი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები სერიოზულად შეუდგნენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის დადგენილების განხორციელებას ციტრუსების მოგლის გაუმჯობესების საქმეში. რაიონში კომისიების საშუალებით შემოწმებულია ყველა პლანტაცია, შედგენილია აქტები და სამუშაოთა გეგმები უახლოესი პერიოდისათვის. პლანტაციებში მიმდინარეობს მესამე თოხნა, მეორედ წამლობა გოგირდ-კირნახარშით უმთავრესად დაავადებულ მსხმოიარე პლანტაციებში, მეორედ და ზოგან მესამედ „გამოცელვა, პლანტაციების გაწმენდა ჯაგნარისა, ეკალ-ბარდისა და სარეველა ბალახისაგან.

კოლმეურნეობებში გამოყოფილია მეციტრუსეთა სპეციალური ბრიგადები და ჯგუფები. სანერგე მეურნეობებში სამუშაოდ დაბრუნდნენ კოლმეურნეობებში — 15 და საბჭოთა მეურნეობებში 20 კაცი, რომლებსაც ამ დარგში მუშაობის მეტი გამოცდილება აქვთ. გამოიყო მეველეები, გაკეთდა და შეკეთდა 35 კილომეტრი ლობე. 5-ონ-ჯერ გათოხნა და ნაკელწყლით გაპატივდა საძირეები. დაიმყნო 200.000-ზე მეტი ციტრუსი, ყინვისაგან დასაცავად ამზადებენ კარკასებს და სხვ.

პლანტაციებს სანიმუშოდ უვლიან სოფ. დაგვის ვორაშილოვის სახელობის (თავმჯდომარე ბ. ლავასასი), სოფ. ხუცუბნის სტალინის სახელობის, სოფ. ზენითის კაგანოვიჩის სახელობის, სოფ. სამების ლენინის სახელობის, ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობები და მუხესტატეს და ალამბრის საბჭოთა მეურნეობები. ციტრუსების მოვლაში სტახანოვური შრომით გამოირჩევიან სოფ. სამების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ომერ კაიკაციშვილი და ასლან კომახიძე, სოფ. ქობულეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში — ილიას იმნაშვილი, ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში — უსუფ ეფენდ ოღლი და მრავალი სხვა.

მაგრამ რაიონის წარმატებები ბევრად მეტი იქნებოდა ყველა მეურნეობაში სათანადო პასუხისმგებლობით რომ ეკიდებოდნენ ციტრუსებზე მუშაობას. პლანტაციები ჯერ კიდევ გაუწმენდავია ჯაგნარისა და ეკალ-ბარდისაგან სოფ. აკვავისთავის ყდანოვის სახელობისა და ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში 15-15 ჰექტარზე, სოფ. ლეღვას მიქიანის სახელობის კოლმეურნეობაში—18 ჰექტარზე, კონდიდის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობაში—7 ჰექტარზე. კონდიდის კოლმეურნეობაში მიივწყვეს პლანტაციების დაავადების წინააღმდეგ წამლობაც. ასევეა სოფ. სახალვაშოს კოლმეურნეობა „აჭარაში“ და ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში.

ციტრუსების სამუშაოთა შესრულებაში ჩამორჩა ლიმანტრესტის კვირიკეს საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი გ. იაშვილი, უფრ. აგრონომი მ. აბრამიშვილი). აქ 54.000 ძირი შარშანდელი ნამყენი გაუთოხნელი და შეუჩერელია ტრიფოლიატის ამონაყრებისაგან. არ გაუთოხნიათ აგრეთვე 1941 წლის ნამყენი—60.000-მდე ძირი. მეურნეობა მყნობაშიც ჩამორჩა. წელს დასამყნელად ტრიფოლიატის ნათესს ნაცვლად მარტისა აპრილში გაუკეთეს პიკირება, გარდა ამისა, არ გათოხნეს დროზე და ნაკელწყლის მიცემაც დააგვიანეს. ამიტომ სძირეები სუსტია. მყნობის გეგმა შეუსრულებელია.

წელს ქობულეთის რაიონი ქვეყანას მისცემს 150 მილიონ ცალზე მეტ ციტრუსთა ნაყოფს, მაგრამ მოსავლის მისაღებად კონსერვტრესტისა და ცეკავშირის განყოფილებებს პავილიონების რემონტი ჯერ არც კი დაუწყიათ. ადგილებზე კი, გარდა გოდრებისა და კალათებისა, საკმარისი რაოდენობით არა აქვთ ტარა-მასალა, განსაკუთრებით „მუშაყუთები“.

ტრ. თოდრაძე

ახალი წარმატებებისათვის სოფლის მეურნეობაში

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). შესდგა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონული შეკრება. შეკრებამ მოისმინა მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ი. დოლიძის, საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივნის ამხ. ს. ესაძის და რაამოწვანის გამგის, ამხ. შ. ჭანყუაძის მოხსენებები სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე.

აღინიშნა, რომ რაიონმა ჩაის კრეფის 4 თვის გეგმა შეასრულა 100.6 პროცენტით, წარმატებით მთავრდება ციტრუსების საგაზაფხულო სამუშაოები. გამოირკვა, რომ მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წარმატებით ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

შეკრების მუშაობა თავის გამოსვლაში შეაჯამა საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. სიხარულიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ნახევარი წლის სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის მახარაძის რაიონი ცნობილია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატად. ამხ. სიხარულიძემ შეკრების მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით შესრულებაზე სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობის მოსაპოვებლად.

ლ. ლოლაძე

სოციალისტური შეჯიბრების ძალა

ზუგდიდი („კომუნისტის“ საკ. კორ.). შესდგა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონული შეკრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 600-ზე მეტმა კაცმა. 1943 წლის პირველ ნახევარში სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგებზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი ამხ. გ. ჩაჩიბაია. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზუგდიდის რაიონი ცნობილია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატად. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობის დარგში კარგი მაჩვენებლებისათვის, საქ. სსრ მიწსახკომის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატად წამოყენებულია ზუგდიდის მტყ., ხოლო საქ. სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატებად — ინგირის ბერიას სახელობის და ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობები. ამხ. ჩაჩიბაიამ დამსწრეთ მოუწოდა კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობის ტემპები, წარმატებით დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო წელი და მით მოიპოვონ პირველობა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 11 კაცმა. შეკრებაზე სოფლის მეურნეობის 21 მოწინავეს 1942 წელს მოპოვებული წარმატებისათვის გადაეცა საკავშირო მიწსახკომის ჯილდო—ნიშანი „სოფლის მეურნეობის წარჩინებული“.

უხვი სამხედრო მოსავლის მიღებისათვის ფულადი პრემიებით დაჯილდოებულია ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის 187 კაცი.

ხ. ბერულავა

გეგმების შესრულება

ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკამ 31 აგვისტოსათვის 101 პროცენტით შეასრულა ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა.

ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის დირექტორი დ. ცინცაბაძე

წალენჯიხის ჩაის მეორე ფაბრიკამ 1 სექტემბრისათვის ვადაზე ოთხი თვით ადრე 100,2 პროცენტით შეასრულა ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა.

ვ. ბელაძანია

ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება
(ტრესტ „საქჩაის“ 10 სექტემბრის ცნობებით)

რაიონები	სექტემბრის გეგმის შესრულება ფოთლის დასაწყლების ჩათვლით პროცენტებით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით	რაიონები	სექტემბრის გეგმის შესრულება ფოთლის მიწყლების დასაწყლების ჩათვლით პროცენტებით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით
ბათუმი	15,7	81,7	წულუკიძე	14,1	88,4
ქობულეთი	11,2	76,8	ქუთაისი	36,5	100,3
გალი	23,8	86,5	წყალტუბო	2,0	100,5
ოჩამჩირე	15,8	78,9	ტყიბული	24,7	91,9
გულრიფში	—	86,8	ცხაკაია	4,9	92,2
სოხუმი	—	80,0	აბაშა	—	91,7
გუდაუთი	23,6	103,1	გეგეჭკორი	17,4	81,3
მახარაძე	13,1	89,5	ზუგდიდი	11,4	84,0
ჩოხატაური	—	87,7	წალენჯიხა	19,3	92,1
ლანჩხუთი	18,5	82,6	ხობორწყუ	4,5	85,5
სამტრედია	11,8	94,5	ხობი	15	89,8

ჩაქვისა და ხუცუბნის (ქობულეთის რაიონი) და ჩოხატაურის (ჩოხატაურისა და სამტრედიის რაიონები) ჩაის ფაბრიკების ცნობები 5 სექტემბრისაა.

დღეთვალი

ჩერჩილისა და რუზველტის მიმართვა იტალიელი ხალხისადმი

ლონდონი, 11 სექტემბერი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო გაშინგტონიდან გადმოგვცემს, რუზველტმა და ჩერჩილმა გამოავლენენ ერთობლივი მიმართვა იტალიელი ხალხისა და მარშალ ბადოლიოსადმი. მიმართვაში ნათქვამია: „თქვენი ქვეყნისათვის ამ ტანჯვის მომენტში თქვენ წილად გხვდათ გადასდგომა პირველი გადამწყვეტი ნაბიჯები, რათა იტალიელ ხალხს მოუპოვოთ მშვიდობიანობა და თავისუფლება და დაიკავოთ იტალიისათვის საპატიო ადგილი ევროპის ცივილიზებული ქვეყნების რიგებში. თქვენ უკვე გაათავისუფლეთ თქვენი ქვეყანა ფაშისტური მონობისაგან. ისწავლეთ, რომ შესასრულოთ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა — გასწმინდოთ იტალიის ტერიტორია გერმანელ დამპყრობთაგან“.

„ახლა, — ნათქვამია შემდეგ მიმართვაში,— დადგა მომენტი, რომ ყოველმა იტალიელმა დარტყმა აგებმოს მტერს. განმათავისუფლებელი არმიები დასავლეთი მსოფლიოსი მოდიან თქვენს დასახმარებლად. ჩვენ გვყვანან მეტად მძლავრი ძალები და იტალიაში შემოვდიგართ მრავალ ადგილას. ეს გერმანელთა ტერორი იტალიაში დიდხანს არ გაგრძელდება. ეს ტერორი აღმოფხვრილ იქნება თქვენს ქვეყანაში, და თქვენ, დაგვეხმარებით რა ამ დიდ განმათავისუფლებელ ბრძოლაში, კვლავ ჩადგებით თქვენი ქვეყნის ერთგულ და ნაცად მეგობართა რიგებში, რომელთაც თქვენ ასე უსამართლოდ ჩამოგაშორეს“.

ბადოლიოსა და მეფის მიმართვა იტალიის მოსახლეობისადმი

ლონდონი, 12 სექტემბერი (საკადესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 11 სექტემბერს საღამოს გამოუცხადა რადიოსადგურმა გადასცა ტექსტი მარშალ ბადოლიოს მოწოდებისა იტალიის მოსახლეობისადმი. ბადოლიომ თავის მიმართვაში მოსახლეობას მოაგონა, რომ მან იტალიის შეიარაღებულ ძალებს უბრძანა წინააღმდეგობა არ გაუწიონ მოკავშირეთა ჯარებს, მაგრამ წინაააღმდეგობა გაუწიონ „ყოველი სხვა მხრიდან მიმართულ“ იერიშებს. რადიოსადგურმა გადასცა აგრეთვე ტექსტი იტალიის მეფის მიმართვისა, რომელშიც მეფე აცხადებს, რომ იგი რომიდან „ნაციონალური ტერიტორიის სხვა პუნქტში“ გაემგზავრა მთავრობასთან და უმაღლეს სამხედრო ხელისუფლებთან ერთად.

ა. შ. შტატების სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწის მოღვაწეობა განცხადება შინეთის შესახებ

ნიუ-იორკი, 7 სექტემბერი (საკადესი). „ნიუ-იორკ ტაიმსის“, სკრიპს ჰოვარდის პრესისა და სხვა გაზეთებისაგან განსხვავებით, რომლებიც თანაგრძნობით ეკიდებიან ფინეთის მთავრობის პრეტენზიებს, ა. შ. შტატების სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე მოლეი ჟურნალ „ნიუ უიკში“ მოთავსებულ სტატიაში ჩვეთრად აკრიტიკებს ფინეთის მთავრობას და მიმნდობ ამერიკელებს უწოდებს იმ პირებს, ვისაც სჯერა ფინეთის პროპაგანდისა, რომელიც ცდილობს გამოიწვიოს ამერიკელების თანაგრძნობა ფინეთისადმი. ასურვებს რა ფინეთის მთავრობის იმედს ა. შ. შტატების მხრივ დახმარების შესახებ, მოლეი გვიამბობს, რომ ერთმა ამერიკელმა ა. შ. შტატებში მყოფ ფინეთის ოფიციალურ წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ა. შ. შტატები ომის შემდეგ თანაგრძნობით უნდა მოეკყრონ საბჭოთა კავშირის ზოგიერთ მოთხოვნას დასავლეთის საზღვრის უშიშრობის შესახებო. ფინეთის ამ ოფიციალურმა წარმომადგენელმა პასუხად გამოსთქვა რწმენა, რომ ა. შ. შტატები „არ დასცემენ ფინეთს“. მოლეი სწერს, რომ „ა. შ. შტატები ჰგზავნიან მასალებს რუსეთში არქტიკული წყლებით იმ დროს, როდესაც გერმანიის ჯარისკაცები კარგად არიან განლაგებული ფინეთში; ფინელები ჰკლავენ რუს ჯარისკაცებს, რომლებმაც, შესაძლოა, ბევრი ამერიკელი გადაარჩინეს იმით, რომ ჰკლავენ გერმანელებს; ფინელებმა თავისი ტერიტორია დაუთმეს გერმანიას ნაცისტური არმიებისათვის, ფინეთის არმიები კი შეტევას ეწევიდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმ დროს, როცა გვეგონა საბჭოთა კავშირმა შესაძლოა კაპიტულაცია მოახდინოს გერმანელთა შეტევის წინაშე. შემდეგ მოლეი აცხადებს, რომ დამამშვიდებელი განცხადებანი ბევრი რამის მომასწავებელია, და განცხადებანი დამყარებულია იმ რწმენაზე, რომ ჩვენ არ წარმოვადგენთ რუსეთის ნამდვილ მოკავშირეებს და ომის შემდეგ დახმარებას აღმოვუჩენთ პატარა ქვეყნებს, როგორც 1919 წელსაც.

შემდეგ მოლეი აცხადებს, რომ მოსკოვის პოზიცია ფინეთის მიმართ ემყარება სურვილს დაიცვას ლენინგრადი თავდასხმისაგან.

როგორც სჩანს, ფინელებს დღემდე იმედი აქვთ ა. შ. შტატებისა და სხვა ქვეყნებისა, რომლებიც თანაუგრძნობდნენ ფინეთს 1940 წელს. საბჭოთა კავშირმა ეს იცის, მას ახსოვს, რომ ინგლისი და საფრანგეთი ნორვეგიისა და შვეიცის მთავრობებისაგან მოითხოვდნენ თანხმობას, რათა ამ ქვეყნებით გაეგზავნათ საექსპედიციო ძალები, რომ დახმარება გაეწიათ ფინელებისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. უარყოფა ამ თხოვნისა, რომელიც დამყარებული იყო რუსეთის ძლიერების სასაცილო შეუფასებლობაზე, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე საბედნიერო მოვლენას, რაც კი ოდესმე ყოფილა. ამყამად პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მივაღწიოთ ომიდან ფინეთის გამოსელას, და ამით გავათავისუფლოთ რუსების თხუთმეტამდე დივიზია. უეჭველია, რუსეთის მოთხოვნები ამჟამად უფრო ზომიერი იქნება, ვიდრე ომის შემდეგ. მართალია, გერმანია ზეგავლენას ახდენს ფინეთზე, მაგრამ თუ ფინელები ომიდან გამოვლენ, მაშინ არა მგონია გერმანელებმა შესძლონ ახლანდელი ფრონტის შენარჩუნება, განსაკუთრებით თუ მზედეკლონებში ვიქნებით მოახლოებულ ზამთარს. ფინეთი მნიშვნელოვანწილად თვითონ აგებს პასუხს თავისი საოსწარკვეთილი მდგომარეობისათვის.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 12 სექტემბერი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გერმანიის რადიომ გადასცა, რომ ამერიკის ჯარები გადასხდნენ სორენტის ნახევარკუნძულზე.

რეიტერის სააგენტოს სხვა ცნობაში აღნიშნულია, რომ მეხუთე არმია, რომელიც ამერიკელთა და ინგლისელთა ნაწილებისაგან შედგება, გერმანელთა ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა ნეაპოლის რაიონში. აქ მოგერიებულ იქნა მტრის ხუთი გაფთრებული კონტრიერიში.

სამხრეთ იტალიაში ინგლისის მერვე არმიამ მნიშვნელოვნად წაიწია წინ. პიკოლი ნაწილი ინგლისელთა ზურგში გადამსხდარი ინგლისელთა მერვე არმიის ნაწილები ახლა შეუერთდნენ მთავარ ძალებს, რომლებიც დასავლეთ სანაპიროთა მიიწევენ წინ.

ინგლისის მერვე არმიის ნაწილები ჩრდილოეთისაკენ მიიწევენ და დაიკავეს კატანძარო და სან-ევფემია ლია მაზია.

ჟენევა, 11 სექტემბერი (საკადესი). გერმანიის სარდლობამ გამოაცხადა, რომ რომის მიდამოებში მყოფმა იტალიელთა შენაერთებმა ორი სატანკო და ხუთი ქვეითი დივიზიის შემადგენლობით იარაღი დაპყარეს.

გერმანიის ჯარები დღეს შეეიდნენ მილანში, ტურინსა და პადუაში.

ინგლისელ-ამერიკელთა ჯარები ბალკანეთში

ლონდონი, 11 სექტემბერი (საკადესი). „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ალექსანდრ პარსონსი ადასტურებს, ინგლისელ-ამერიკელთა ჯარებმა ბალკანეთში ჩავიდნენ ბალკანეთ-ბალკანეთ-ბალკანეთ-